გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სოპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


ღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 24 ოქტომბ.

**მაიორი გარსევან ზაალის ძე გრიგოლია** უმორჩილესადა სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა, მობრძანდნენ სოფელს საჭილაოს მისის მეუღლის, **ნინო პეტრეს ასულის ზაიკინის** გარდაცვალების მეორმოცე დღეს, 4-ს ნოემბერს, ოთხშაბათს, განსვენებულის პანაშვიდზედ დასასწრებლად. (1—1)

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამული ბანკის მმართველობისაგან.

რადგან სესხის მიღების მსურველნი ხშირად მიჰმართავენ ხოლმე რჩევისა და დარიგებისათვის კერძო კაცთ, რასაც, რასაკვირველია, ხარჯი მოსდევს, ამიტომ ბანკის მმართველობა კვლავ აცხადებს, რომ ვისაც რა რჩევა და დარიგება უნდა მამულის დაგირავებისა და სესხის აღების შესახებ, იმათ შეუძლიანთ პირდაპირ ბანკის მმართველობას მიჰმართონ და მით კერძო კაცთა და ვექილთათვის მისაცემი ყოველ-გვარი ხარჯი აიცილონ თავიდამ. საზოგადოდ სასურველია, რომ ვისაც ბანკთან აქვს საქმე, პირდაპირ ბანკისავე მმართველობას მიჰმართოს. (3—1)

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ და „ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში საყმაწვილო წიგნი სურათებით, ლექსად შ. მღვიმელისა




ფასი 20 კაპ. (5—1)

## წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისაგან.

ქართველთა ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ თ. აკაკი წერეთელმა ნოტარიუსთან დამტკიცებულ ხელწერილით 16 ოქტომბერს 1892 წ. ამხანაგობას გადმოსცა თავის ნაწერების სრულად გამოცემის უფლება. დღეის შემდეგ, თანხმად ცენზ. წესდ. დამ. მე-10 და 14 მუხ. და სამოქ. კანონთა კრებულის მე-X ტ. I ნაწ. მე-420 მუხ. 2 შენიშვნისა აღეკრძალებათ ყველას დაბეჭდვა თ. აკაკი წერეთლის ნაწერებისა ცალკე წიგნად ანუ კრებულებში. წინააღმდეგ შემთხვევაში გამომცემელთ გადახდებათ თანხმად მე-22 მუხლისა ც. წ. დ.—სა, ზარალი გამოცემულის კვალად და ჩამოერთმევათ დაბეჭდილი ეგზემპლიარები ამხანაგობის სასარგებლოდ. (3—2)

ტფილისი, 21 ოქტომბერი

მნათეს ჩვენის ეკკლესიებისათვის, განსაკუთრებით ქალაქ ადგილებში, დიდად დიდი მნიშვნელობა აქვს. იგია ვალდებული ეკკლესიის გამშვენიერებისათვის იზრუნოს, ის ადევნებს თვალ-ყურს ეკკლესიათა შემოსავალსა და ხარჯს, იგია პირველი დამწყები და ხელმძღვანელი სამრევლო-საეკკლესიო სასწავლებლისა, რომელიც ეკკლესიასთან დაარსებულია, და მასვე შეუძლიან, თუ გულითა და სულით მოიწადინა, ქართული საეკკლესიო ხორო შეადგინოს, შეჰქმნას და ამითი დიდი სულიერი სიტკბო აგრძნობინოს ეკკლესიაში ღვთის-მოსავ მოსიარულეთ.

უწინ სულ სხვა გვარად იყო საქმე მომართული. ეკკლესიისათვის ზრუნვა ორიოდე კაცს-კი არა ჰქონდა მინაბრებული, ყველა ეკკლესიის გამშვენებისათვის ჰზრუნავდა, მეფიდგან მოკიდებული უბრალო ერის კაცამდე. საქართველოს მეფენი და წარჩინებულნი დიდ-ძალს მამულს, ყმას, ოქრო-ვერცხლეულსა ბ თვალ-მარგალიტეულს სწირავდნენ ეკკლესიას. მრევლის ყურს სასიამოვნო კითხვა საეკკლესიო წიგნებისა და ხმა-მწყობრი, სასმენად საამო საეკკლესიო ქართული გალობა ატკბობდა, მრევლი სიამოვნებით დადიოდა ეკკლესიაში და ეკკლესიას დიდი მნიშვნელობაცა ჰქონდა, დიდი ადგილი ეჭირა ქვეყნის ცხოვრებაში. არც ერთი ქვეყნის საქმე ისე არა კეთდებოდა, რომ ეკკლესიას ასე თუ ისე მონაწილეობა არ მიეღო.

ეხლა საქმე სულ სხვა გვარად მოეწყო. ეკკლესიას მხოლოდ სულიერი საქმე დაეკუთვნა, მისი გავლენა განისაზღვრა და მისი დანიშნულება უფრო ვიწრო წრით შემოიფარგლა. ეკკლესიის მსახურთა საქმეც გამარტივდა. უწინდელებრ იძულებულნი აღარ არიან ქვეყნის ყოველსავე ავსა და კარგს თვალ-ყური ადევნონ, საეკკლესიო წიგნებს თითონ აღარა სწერენ, არამედ მზა-მზარეულად ურიგდებათ დაბეჭდილები. მაშასადამე, მათდა მოვალეობად ის-ღა დარჩენილა, რომ ყოველი თვისი ძალა ღონე ეკკლესიის გამშვენებას შეალიონ-უწინდელი სასიამოვნო კითხვა საეკკლესიო წიგნებისა და ხმა-მწყობრი საეკკლესიო გალობა, კი არ მოჰშალონ, უფრო გაამშვენიერონ, უფრო განაკარგონ და განაუკეთესონ, რომ მრევლს სასოება განუმტკიცონ. ამის სამაგეროდ, რასა ვხედავთ? ყოველსავე უწინდელს სიკეთესა და ღირსებას ბოლო ელება, ქართული გალობა ნობათად მოსასმენია, მშვენიერი მკითხველი და თავისის კითხვით ადამიანის სმენის დამატკბობელი, გულის მომნადირებელი, სასოების აღმძვრელი ძნელად-ღა მოიპოვება. საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელი, რომელიც ძველად ერთად-ერთი აღმზრდელი და განმანათლებელი იყო ქართველთა, დაქვეითებულია, წინანდელს მშვენებასა და სიკეთეს მოკლებული.

ყოველსავე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და ღირსიც არის, უყურადღებოდ არ იქმნას დატოვებული, რადგან, რამდენადაც ვიცით, ქართულს ეკკლესიებში ეს საქმე სულ არარად ჩათვლილია, უზრუნველად დატოვებული. ეკკლესიის კრებულს და მნათეს რომ მოეწადინებინათ, დიდი ხარჯი და დიდი მხნეობა არ დასჭირდებოდათ ამ საქმის მოსაწყობად და ჯეროვანად განსაკარგებლად. ამასობაში, მაგალითებრ, ტფილისს ერთს ეკკლესიას ვერ დაასახელებთ, რომ თავისი საკუთარი ქართული საეკკლესიო ხორო ჰყავდეს. არა ერთ გზის გაგვიგონია ამ მხრივ მრევლის საჩივარი და სამდურავი, მაგრამ დღევანდლამდე ყოველივე მათი დრტვინვა დარჩენილა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა და გარემოება საქმისა არაფრით შეცვლილა.

რასაკვირველია, ბრალი ამ ნაკლისა უნდა დაედოს ჩვენის ეკკლესიების კრებულსა და მნათეს, რომელსაც მრევლი ირჩევს და დიდი ხმა, დიდი უფლებაცა აქვს მინიჭებული საეკკლესიო საქმეთა მომართვა-მოწყობაში. ამიტომ დიდად სასურველია, რომ მრევლმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას, ეცადოს, მართლაც-და სასარგებლო, მხნე, საქმიანი, მრევლისათვის გულ-შემატკივარი და მზრუნველი კაცი ამოირჩიოს მნათედ, რომ შემდეგ დრტვინვა-ჩივილს არ იყოს იძულებული და საქმე ისე მოეწყოს, როგორც თვით მრევლისათვის არის სასურველი და უნდა იყოს კიდეც ყოველის ღვთის-მოსავ ქართველისათვის.

ასე უნდა იყოს, მაგრამ ასე-კი არ არის. ჩვენთა ეკკლესიათა მრევლი ყურადღებას არ აქცევს, უმნიშვნელოდა სთვლის მნათეს დანიშვნას, ამისათვის არასა ჰზრუნავს, თავს არ იტკიებს. ეკკლესიას რომ სამასამდე ოჯახი მრევლად ჰყავდეს, მნათეს არჩევანზედ მხოლოდ ხუთი თუ ექვსი კაცი მოიყრის ხოლმე თავს, საჩქაროდ ჩააფუჩეჩებენ ამ ღირს-შესანიშნავს საქმეს, დაჰნიშნავენ, ვინც მოჰხვდებათ, რომ თავიდგან აიცილონ ამ საქმისათვის ზრუნვა და ხელმეორედ აღარ დასჭირდეთ მოკრება და თავის მოყრა. რაკი მრევლის მიერ ასე უმნიშვნელოდ არის ჩათვლილი მნათეს დანიშვნის საქმე, თვით მნათეც გულ-აცრუებით ეკიდება თავისს მოვალეობას, საეკკლესიო საქმეებისათვის მაგდენს აღარასა ჰზრუნავს, დიდად აღარ იწუხებს გულს. მრევლის დრტვინვა-ჩივილიც ამისი შედეგია.

აი მაგალითიც. კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიას ამას წინად გარდაეცვალა მნათე და მრევლი უნდა შესდგომოდა ახალის მნათეს არჩევანს, მაგრამ, წარმოიდგინეთ, მნათეს საარ-

# ფელეტონი

### პირველი ტალღები

(მოთხრობა)

I

ერთს ივნისის საღამოს იჯდა ახალგაზდა ყმაწვილი დათა მერცხალაძე ღია ფანჯარასთან და გაჰყურებდა რიონის მარჯვენა მხარეს დაფენილ მინდვრებს. დათა დიდხანს იყო ღრმად ჩაფიქრებული. მერე უეცრად ამოიოხრა და შემოავლო თვალი თავისს პაწაწა ოთახს. ჯერ შეჰხედა კუთხეში „ეტაჟერკას“, რომელზედაც რამდენიმე ქართული და რუსული წიგნი ეწყო, თითქოს არჩევს, რომელს მოჰკიდოს ხელიო; შემდეგ შეჰხედა იქვე იატაკზედ დაყრილ წიგნებისა და რვეულების გროვას, მაგრამ თითქმის ერთს წუთსაც არ დაშტერებია ამ გროვას მისი თვალები. ეს გროვა სამოსწავლო სახელმძღვანელოებისა, ლათინურ და ბერძნულ გრამატიკებისა და რვეულების გროვა იყო და რაღად უნდოდა ესენი დათას, რომელმაც აგერ ერთი კვირა გადიოდა, რაც გიმნაზია გაათავა. დათამ ახლა უცებ მოავლო თვალი პატარა სტოლს, რომელზედაც რამდენიმე რვეული და საწერ-კალამი იდო. რვეულების დანახვაზედ რაღაც ცხოველმა აზრმა ელვასავით გადურბინა ყმაწვილს სახეზედ და წამოვარდა ზეზედ, დაავლო სკამს ხელი, მოუჯდა სტოლს და გადაშალა ერთი მათგანი. რამდენსამე ხანს ჩაფიქრებული იყო დათა, მერე მოჰკიდა კალამს ხელი და დაიწყო წერა.

„გარემოცული შავის ფიქრებით,
თვალთ-ცრემლიანი, დაღონებული,
მომგონებელი ზიზღით წარსულის
და აწმყოთი სულ გაშმაგებული
ვეგდე მარტოკა“...

წაიკითხა პატარა ხანს უკან ხმამაღლად დათამ. მერე კიდევ დასწერა რაღაც, მაგრამ ისევ წაშალა ახალი დაწერილიცა და ძველიც. შემდეგ კიდევ დაიწყო წერა, კიდევ წაშალა და ასე რამდენჯერმე.

„არა, არა, ეხლა მე ვერაფერს დავსწერ“... გაიფიქრა დათამ და დაანება წერას თავი. „მაშ რა ვქნა? აგერ გადამრევენ ფიქრები!“ ჰფიქრობდა დათა და მართლაც ფიქრები შეუბრალებლად ეხვეოდა გარს.

ამ დროს მოისმა ფეხის ხმა და კარი შემოაღო ახალგაზდა ყმაწვილმა, რომელიც მხიარულად შემოვიდა. დათას იამა, რომ დაინახა თავისი ამხანაგი ვანო, რადგან ცოტას ხნით მაინც გადურჩებოდა ფიქრების მიერ ქენჯნას.

— ოო, ვანოს გაუმარჯოს, დაიძახა დათამ და ჩამოართვა ხელი შემოსულს.

— ღმერთმა გაგიმარჯოს, მიუგო ვანომ და გაჩერდა დათას წინ ამაყად, თითქოს უნდა მისი ყურადღება მიიქციოსო.

— საიდგან მოდიხარ? ჰკითხა დათამ.

— Отъ портного. ხომ კარგად მადგა ტანზედ, სთქვა ვანომ და შემოტრიალდა. დათამ მხოლოდ ეხლა შეამჩნია, რომ ვანოს ახალი ტანისამოსი ეცვა.

— კარგად, კარგად, სთქვა დათამ და დაუწყო ყურება ვანოს ტანისამოსს.

— შენ რას აპირობ? არ იკერავ ტანისამოსს? დაეკითხა ვანო შემდეგ.

— არა, მიუგო დათამ: ნეტა სხვა არაფერი მომცა საფიქრებელი, თორემ ტანისამოსს რას დავეძებ?

— მართლა, რა შეიტყე სტიპენდიისა?

— უარი მითხრეს. ორი სტიპენდია არის სულ ჩვენის გიმნაზიისათვის და „მენდლიანებს“ უნდა მივცეთო.

— მერე მენდალი რატომ შენ არ მოგცეს, შენ უკეთესად არ დაიჭირე ეგზამენი პეტროვზედ?

— რა ვიცი, ძალაც იმათ ხელშია და სამართალიც.

— რატომ მზრუნველთან არ წახვედი ტფილისში?

— რას გამიკეთებდა მზრუნველი, რასაც გულს არ გამიხეთქავდა უარესად. სტიპენდია-კი არა, ატესტატიც რომ მიიღე, მადლობელი იყავიო, მითხრა დირექტორმა.

— ეს სულ იმ ბებერის ძაღლის, ინსპექტორის ბრალია, არა?

— ჰო... პანსიონიდგან რაც დამითხოვეს, მასუკან ჩემი აღარაფერი სწამთ. გიგო არ შეგხვედრია სადმე? ჰკითხა ბოლოს დათამ ვანოს, რადგან ეტყობოდა, რომ თავი მოაბეზრა ამ ლაპარაკმა და უნდოდა სხვა ლაპარაკი ჩამოეგდო.

ამ დროს კიდევ გაიღო კარი და ოთახში შემოვიდა მესამე ახალგაზდა.

— ძაღლი ახსენე და ჯოხი ხელში მოიმარჯვეო, სთქვა ვანომ და მიესალმა ახალ შემოსულს. შემოსული მიესალმა ორივეს.

— შენ გახსენებდით ეხლა, გიგო, უთხრა დათამ.

— მეც მოვედი, სთქვა გიგომ და შეხედა ღიმილით.

— მე მეჩქარება, ნახვამდის! სთქვა ვანომ და ჩამოართვა ხელი დათას

ჩვენო კრებაზედ სულ ექვსად ექვსმა კაცმა მოიყარა თავი, თუმცა ამ ეკლესიას, ვარაუდით რომ ვსთქვათ, ოთხასამდე მრევლი ეყოლება. მრევლის ასეთის გულ-ცივობის გამო მნათეს არჩევანი დეკემბრის თვისათვის გადაიდო და ეკკლესია ეხლა უმნათეოდ არის დატოვებული.

ნუ თუ ოთხას კაცში ექვსის მეტი ვერავინ გამოჩნდა, რომ გული შეეტკიებინა ამ საქმისათვის? ზოგიერთნი ამბობენ, რომ ყველამ არ იცოდა, თუ არჩევანი იყო დანიშნული, ყველას შეტყობინებული არა ჰქონდაო. სასურველია, რომ ეს საქმე ასე დაფოლებული არ დარჩეს, მრევლმა მეტი ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს, საერთოდ თავი მოიყაროს და ღირსეული კაცი ამოირჩიოს მნათედ, რომ ეკკლესიის საქმეც ღირსეულად წარიმართოს და ყოველი ზემოდ დასახელებული ნაკლიც აიცდინოს თავიდგან. იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვეულებრივი ჩვენი გულგრილობა ამ საქმესაც არ დააფოლებს, არ გაადუხჭირებს და ძირს არ გამოუთხრის!..

მანოელიძე

## ახალი ამბავი

*** 15 ოქტომბერს ტფილისის სამხედრო სამკურნალოში მიიყვანეს ხოლერიანი ავადმყოფი, კავკასიის მე-4 მსროლელთა ბატალიონის ჯარის კაცი სტეფანე მელიქოვი.

*** ჩვენ მოგვივიდა ახალი ქართული წიგნი „ასპინძის ომი“, ისტორიული ამბავი მოზრდილ ყმაწვილებისათვის, დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ, მეფე ერეკლეს პორტრეტითი და ქარტით.

*** ჩვენი სათეატრო დასი ამზადებს ამ ჟამად და უნდა ამ ცოტა ხანში წარმოადგინოს ახალი პიესა ბ-ნის ი. მ—ისა „გამოურკვეველი ოცნებანი“. პიესა ჩვენს გლეხკაცობას შეეხება და სურათები სოფლის ცხოვრებისაა.

*** ქალაქის საბჭომ სახოლეროდ გადასდო სულ ექვსი ათას ოთხასი თუმანი ფული და მიანდო ქალაქის გამგეობას, რომ წარმოედგინა მოხსენება იმისი, თუ რამდენი უნდა მოემატოს სახლების დაფასების ხარჯს, რათა ეს ფული უკანვე დაიბრუნოს ქალაქის კასსამაო. ეხლა ქალაქის გამგეობამ შეადგინა თავისი მოხსენება და ურჩევს საბჭოს, დაფასების ხარჯს მიემატოს წელიწადში $^1/_8$%, რაიცა წლიურად შეადგენს 44 ათას მანათზედ ცოტა მეტს; ეს ხარჯი დაწესდეს შვიდიოდე წლით, რომ ქალაქმა ამოიღოს არა თუ ხოლერის ხარჯი, არამედ შეავსოს ის დეფიციტებიც, რომელიც მოუვიდა ამ ექვსის წლის განმავლობაში თავისის ხელმოკლეობით. წევრნი გამგეობისა პ. ა. იზმაილოვი და ე. ე. ხოსროევი იმ აზრისანი არიან, რომ მომეტებულის ხარჯით დაიბრუნოს ქალაქმა მხოლოდ ის ფული, რომელიც მოინდომა ხოლერასთან ბრძოლამ, და ამიტომ ურჩევენ საბჭოს, მარტო ერთის წლით მოუმატოს დაფასების ხარჯს $^1/_4$%. ორივ ეს აზრი განიხილა საფინანსო კომისიამ ც გადასწყვიტა: რადგან გამგეობას არ წარმოუდგენია თავისი მოხსენებანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აღმოაჩინონ სხვა ახალი წყაროები ქალაქის შემოსავლისა, თანხმად იმ რჩევისა, რომელიც უკვე მისცა საფინანსო კომისიამ, და რადგანაც ქალაქის მემამულეთა და მოსახლეთათვის ძლიერ სამძიმო იქნება დიდის ხნით წამატება დაფასების ხარჯისა, ამიტომ საკმარისია მოემატოს დაფასების ხარჯს მხოლოდ $^1/_8$% და ისიც მარტო ერთის წლის განმავლობაში. რაიცა შეეხება წარსულის დეფიციტების შევსებას, ამაზედ მსჯელობა იქონიოს საბჭომ მაშინ, როდესაც წარმოდგენილ იქნება მოსაზრება გამგეობისა სხვა-და-სხვა შემოსავლიან წყაროს შესახებაო. ამ საქმის გამო ქალაქის საბჭოს ამ მოკლე ხანში ექნება მსჯელობა.

*** ტფილისში თვალის სატკივრის სამკურნალოს დაარსების პროექტი უკვე დაუმტკიცებია შინაგან საქმეთა მინისტრს. ამიტომ უსინათლოთა სამზრუნველოს ამიერ-კავკასიის განყოფილებისას დაუქირავებია აღნიშნულ სამკურნალოსთვის შენობა ტფილისის პირველ ნაწილში, საპიორის ქუჩაზედ. ამ სამკურნალოში ყოველ დღე გარედგან მოსიარულე თვალით ავადმყოფთ მიიღებენ და ამას გარდა სამკურნალოშიაც ოთხი განყოფილება იქნება გამართული. სამკურნალოს გამგედ დანიშნულია ტფილისის ექიმი ბ-ნი ტარსაიძე.

*** ტფილისში ხმა დადის, რომ ოზურგეთის მაზრის უფროსი, პოლკოვნიკი სოკოლსკი 18 ოქტომბერს ყაჩაღების დევნის დროს მძიმედ დაიჭრაო. რამდენად მართალია, ეს ამბავი, ჯერ არ ვიცით.

*** ამ დღეებში დუშეთის მაზრის სოფელ ბოვოცინში მცხოვრებს ქვრივს გლეხის ქალს, მარიამ ამირანაშვილს შურის ძიებით ხანჯლით დაუჭრია თავში ს. ჰოპორთის ნაცვალი იასე კობაიძე. დამნაშავე დუშეთის გამომძიებელს წარუდგინეს.

*** 9 ოქტომბერს ს. ლალისყურში (თელავის მაზრაშია) ნაცვალ მიხეილ კოზიკელაშვილის თივას ცეცხლი წაეკიდა და გადიწვა. ცეცხლის წაკიდება ჰბრალდება ივანე ნეკოშვილს, რომელიც გამომძიებელს გადასცეს.

*** სიღნაღიდგან გვწერენ, რომ შირაქის მინდვრებში ერთ გვარი მწერი გაჩენილა, რომელსაც ხალხი „ტყიპს“ ეძახის. ეს მწერი ცხვარს უჩნდება, საშინლადა სტანჯავს და ზოგჯერ კიდეც ჰხოცავს თურმე.

*** დღეს ფორკატის რუსული დრამატიული დასი ამერიკის აღმოჩენის 400 წლის შესრულების დღესა დღესწაულობს. ამ დღისათვის წარმოდგენილი იქნება ბარრეს ხუთმოქმედებიანი ფეერია პროლოგიტურთ: „ქრისტეფორე კოლუმბი ანუ ამერიკის აღმოჩენა“. ფეერია მშვენივრად არის მოწყობილი და მთელი დასი იღებს მონაწილეობას.

ხვალ, პარასკევს-კი, ქ-ნ პ. ა. სტრეპეტოვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ოთხ-მოქმედებიანი დრამა ჩაიკოვსკისა „ლიზავეტა ნიკოლოოზის ასული“.

*** დუშეთის მაზრიდგან იუწყებიან, რომ ამ დღეებში სოფელ მოძმანაანთ-კარში შემდეგი ამბავი მოხდაო. დილის საათის ათზედ ქალები წყალზედ მიდიოდნენ; მათ შორის იყო ამ დღეებში გარდაცვალებულის სოსიკო მოძმაშვილის მცირე წლოვანი ქალი—თებრო. გასცდნენ თუ არა ქალები სოფელს, საიდანაც გაჩნდა შვიდი კაცი, თავს დაეცნენ ქალებს, მოიტაცეს მცირე-წლოვანი თებრო და გაიქცნენ. ოთხი ამ კაცთაგანი პოლიციამ შეიპყრო და დანარჩენი სამი კაცი და მოტაცებული თებრო-კი ჯერ ვერ უპოვნიათ.

*** ს. გრომში (გორის მაზრაში) 12 ოქტომბერს, ღამე, ივანე შერმადანი თავისს ვენახს უდარაჯებდა; ამ ღამეს ორი ქურდი შეიპარა ვენახში. შერმადინს ერთი დაუჭერია, მაგრამ ქურდს ხანჯალი დაუკრავს თავში და მძიმედ დაუჭრია. ქურდები გაქცეულან, მაგრამ შერმადინის ყვირილზედ მოსულან მეზობლები, გამოჰკიდებიან და დაუჭერიათ. ქურდები აღმოჩნდნენ საქვირეთის სოფლის მცხოვრებნი: ვატარა ბიატარაშვილი და ცაურაშვილი.

*** ახალ-სენაკი, 15 ოქტომბერი: ჩვენი ახალი-სენაკი დღითი-დღე სასურველს წარმატებაში შედის. ხოლო ამ წარმატებას ხელს უშლის ეკკლესიის უქონლობა. აქაური ეკკლესია მეტის-მეტად პატარაა, და ოც-და-ათს კაცს ძლივს დაიტევს. ამ გარემოებას მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა პალლადიმ, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად მობრძანდა, ყურადღება მიაქცია. მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ ქალაქის მოთავეებს გრძნობით აღსავსე სიტყვით მიჰმართა და დაავალა, რომ თუ გინდათ ქალაქმა წინ წაიწიოს, ეკკლესია აუცილებლად უნდა ააშენოთო. მაშინვე აირჩიეს კომისია მოქალაქეებმა და დაავალეს, ყოველი საშუალება მოიპოვეთ ეკკლესიის ასაშენებლადაო. სთხოვეს, აგრეთვე შემწეობა აქაურს მემამულეთაც, რომლებმაც დიდი თანაგრძნობა გამოუცხადეს ამ კეთილს საქმეს. ამ გარემოებას განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია კნეინა სალომე მხეიძისამ და დაიწყო ხელის მოწერით ფულის შეკრება. ასევე ჰკრებდა ფულს აწ უკვე გარდაცვალებული ბლაღოჩინი დეკანოზი ნიკოლოოზ კალანდარიშვილი, რომელიც დაუღალავად ჰშრომობდა ამ საქმისათვის. წარსულ თთვის პირველ რიცხვებში მოიწვიეს ინჟინერი და აარჩევინეს საეკკლესიო ადგილი, სადაც უკვე დაიწყეს მუშაობა.

საჭიროა, სენაკის ახლო-მახლო მცხოვრებლებმაც ამ საქმეს შემწეობა აღმოუჩინონ, თორემ ეკკლესიის აშენება თუ მარტო სენაკს დააწვა, დიდხანს გასტანს... აი რა შემწეობა ვსთხოვეთ მცხოვრებთ: მთელს თეკლათის საზოგადოებაში ექვსასზედ მეტი მცხოვრებია. ჩვენ ქირით მოგვაქვს კირი, ქვიშა და ქვა. ყოველსავე ამისათვის დიდი ფული გვეხარჯება და ამიტომ ვსთხოვთ მცხოვრებთ, თითო დღე შესწირონ ეკკლესიას და ურმით მოგვიტანონ ეკკლესიის მასალა. ეს შემწეობა დიდს ფულს გადაგვირჩენს ეკკლესიის სხვა საჭიროებისათვის. იმედია თეკლათის საზოგადოება ამ უსაჭიროესს საქმეში დაგვეხმარება.

*** ბარის ოსეთი: 14-ს ოქტომბერს: როგორც სხვაგან, ბარის ოსებშიაც იყო გავრცელებული ხმები, რომ მცხოვრებთ, ვისაც ხოლერა სჭირდა, ლოგინებს დაუწვავენო... ამის გამოისობით აი რა ექნათ ბარის ოსებს სოფ. ხუმელაგაში: მკურნალმა და ფერშალმა, სახლების ლესვა და წამლების პკურება რომ გაათავეს, ახლა მოედანზედ შემოადგმევინეს დიდრონი საარაყე ქვაბები და წყალი დაადუღეს. აქვე, რასაკვირველია, ეზიდებოდნენ ხოლერიან ავადმყოფთა ლოგინებს, ავლებდნენ წამლებიან ადუღებულს წყალში და აძლევდნენ პატრონებს. ამ დროს აღმოჩნდა, რომ ლეიბებსა და ბალიშებში, მატყლისა და ბუმბულის მაგიერად, სულ ჩალა ყოფილიყო. ჩვეულებადარას დროს არა ჰქონიათ ბარის ოსებს ლოგინში ჩალის ხმარება; ახლა-კი მხოლოდ იმიტომ მოქცეულან ასე, რომ უფიქრიათ, ლოგინს ხომ დაგვიწვავენ და მატყლი და ბუმბული მაინც დაგვრჩესო.

ეს შემოდგომა ძლიერ თბილია და კარგი ამინდებიც დაგვიდგა. ხოლერა ხანდახან კიდევ გატყვრება ხოლმე ზოგ-ზოგ ბარის ოსების სოფლებში. მაგალითებრ, სოფ. ბრუთში ერთი კაცი გარდაიცვალა ხოლერით 9 ოქტომბერს. ამას წინად სოფ. ხუმელაგაში ერთმა ტოის სოფლიდგან (ქისტის სოფელია) ჩამოსულმა ქისტმა შემოგვჩივლა: ხოლერამ ხომ თითქმის გაგვანახევრა; ამას ვინ სჩივის, ველარც-რა გავთიბეთ და ველარც-რა მოვმკეთ

---

და გიგოს: ამაღამ ხომ ვნახამთ ერთმანეთს ჩვენს ვახშამზედ? მიუბრუნდა დათას.

— არა, მიუგო დათამ.

— კი, კი, ჩვენ ერთად მოვალთ, სთქვა გიგომ და შეხედა ვანოს: ნამდვილი ჯენტლემენი ხარ, ვანო, მაგ ტანისამოსში.

— მაშა? სთქვა თავ-მოწონებით ვანომ და გავიდა. ამხანაგებმა თვალი გააყოლეს.

— ვაი უბედური მამა მისი, თუ ჰფიქრობს, ჩემმა შვილმა გიმნაზია გაათავაო და უხარია, სთქვა ღიმილით გიგომ და შეხედა დათას, მაგრამ უკანასკნელს ხმა არ ამოუღია.

— რამ მოგაწყინა, დათა? შენი საქმე მშვენიერად არის! უთხრა გიგომ.

— როგორ? შეეკითხა დათა.

— ადგილი გიშოვე მასწავლებლისა, მერე რა ადგილი!..

— სად, ვისთან? ეკითხებოდა ალტაცებით დათა.

— მეხუთე კლასში რომ დიდგულაძეა, იმას „პერეგზამენოვკა“ ჰქონია რუსულში. ეხლა მამა მისი ვნახე, რეპეტიტორს ეძებდა და შენ დაგასახელე. თთვეში სამ თუმანს მოგცემს. ხომ წახვალ იმის სოფელში? მერე რა სოფელია თურმე, სწორედ საშენოა, საპოეტო.

მერე გიგომ უთხრა, რომ ხვალ წავიდეთ ორივენი პირდაპირ მოსალაპარაკებლად დიდგულაძის მამასთანაო. დათაც დაეთანხმა.

— მაშ ასე, გადაწყვეტილია, რომ უნივერსიტეტში ერთად მივდივართ! დააბოლოვა გიგომ.

— ვნახოთ, უთხრა დათამ.

— რაღა ნახვა უნდა ამას? მარიამობამდის დიდგულაძესთან დარჩები და ექვს თუმანს აიღებ, ორ თუმნამდის იმ წარმოდგენიდამ და საცეკვაო საღამოდამაც გერგება, რომელსაც ჩვენს სასარგებლოდ ჰმართავენ, და რვა თუმნად მშვენიერად მოეწყობი და წამოხვალ. პირველ ხანებში ეს გეყოფა და მერე კიდევ ღმერთი მოწყალეა, ან სამუშაოს იშოვი, ან სტიპენდიას“... არა გრცხვენია, რომ სრულებით იმედი აღარა გაქვს? პოეტი მაინც არ იყო. შენ სხვებს უნდა ულვიძებდე იმედს და თითონ-კი დაჰკარგე ასე უცებ?

დათა თავ-ჩაღუნული ისმენდა ამხანაგის ნალაპარაკევს და უკანასკნელ სიტყვაზედ კინაღამ ცრემლებიც მოერია თვალებში.

— წავიდეთ, წავიდეთ, ცოტა გავისეირნოთ, წმინდა ჰაერი ჩავყლაპოთ და მერე ჩვენს ვახშამზედ წავიდეთ! დაიწყო ისევ გიგომ: სად არის შენი პალტო, ქუდი? სთქვა გიგომ, მოსძებნა ქუდი და პალტო დათასი, ჩააცვა, დაჰხურა და ძალა უნებურად გაიყვანა გარედ.

### II

დათა გაღარიბებულ აზნაურის შვილი იყო. ბატონ-ყმობის გადავარდნამდის კარგად ყოფილიყო დათას ბაბუა და თავის შვილისთვის კარგი საცხოვრებელი დაეტოვებინა, მაგრამ დათას მამას ზურაბს ყოველივე გაეფლანგა. ზურაბი მხოლოდ თავის პირადს გემოვნებას ეძებდა; რასაც იშოვიდა, ცხენ-უნაგირში და ტანისამოსში უნდა გადაეგო. იჯდა ზურაბი მარადის ცხენზედ და დადიოდა იმერეთის თავადიშვილებში, რომელნიც ყოველთვის სიამოვნებით იღებდნენ „კარგს მასხარას“, როგორც ისინი იხსენიებდნენ ზურაბს. მართლაც შესანიშნავი ხუმრობა იცოდა ზურაბმა, მკვდარსაც-კი გააცინებსო, ამბობდნენ. ზმა, ლექსად ადამიანის დახასიათება, მისწრებული სიტყვა-პასუხი ზურაბის ხელთ იყო. სამაგიეროდ, რამდენადაც სასიამოვნო იყო ზურაბი გარედ, იმდენად საძაგელი იყო შინ, თავისს ცოლ-შვილში. ოჯახის ამბავს სრულებით არ დაეძებდა და ყველაფერი, მტერი და მოყვარე, ჰქირი და ლხინი საბრალო დათას დედას, მელანიას აწვა კისრად. მელანია ერთი იმ გულ-კეთილ და სუსტ არსებათაგანი იყო, რომელნიც მხოლოდ იმიტომ იბადებიან, რომ თავიანთი სიცოცხლე ვისმე სხვას შესწირონ. ზურაბი არ აფასებდა თავისის ცოლის ღირსებას; მისთვის მელანია მხოლოდ დედაკაცი იყო, რომელსაც უნდა დაეკმაყოფილებინა ყოველი მისი მოთხოვნილება, როგორც უფროსისა. მელანია მღვდლის შვილი იყო, წერა-კითხვა და სამღრთო წერილი გვარიანად იცოდა და თავ-ნება ზურაბის ხელში უბედური იყო. კიდევ ბედი მელანიასი, რომ გათხოვების ერთის წლის შემდეგ შვილი მიეცა, რომელზედაც შეეძლო თავის შეყოლიება. მერე აღარ ჰყოლია შვილი და აღარც უნდოდა. მელანიასთვის დათაც საკმაო იყო, იმის ყურებითაც ივიწყებდა თავისს ჯავრსა და მწუხარებას. თუმცა ასე უყვარდა მელანიას თავისი ერთად-ერთი იმედი დათა, მაგრამ შეიქმნა თუ არა ყმაწვილი ხუთის წლისა, იმდენი ემუდარა ზურაბს, რომ მთავარ-მმართებელისთვის თხოვნა მიეცემინებინა, დათა სახელმწიფო ხარჯით გამოზარდეთო.

დათაც მიიღეს ქუთაისის კეთილშობილთა პანსიონში, როცა ათის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათქმელიო. ახლა რაც გავთიბეთ და მოვმკეთ, ისიც სულ გადაგვიბუგეს გოროტმა კაცებმა, ე. ი. თხუთმეტმა კაცმა, რომელთაგანაც მოსვენება აღარა გვქონდა. ამიტომ განაჩენი შევუდგინეთ და მთავრობას ვსთხოვეთ, რომ ღირსეულად დაესაჯნათ; გაიგეს თუ არა ეს ამბავი ამ თხუთმეტმა კაცმა, გაცვივდნენ ყაჩაღად. შებინდდება თუ არა, საცა მოახელებენ, საქონელს გვიხოცენ ჩვენცა და ჩვენს ახლო სოფლებსაც, თივებსა და ძნებს გვიწვავენ და აღარაფრით აღარა გვზოგავენო. თუ მთავრობა არას დაგვეხმარა მათ შესაპყრობლად, შენი მტერი, რომ ცუდს დღეს დაგვაყენებენო.

*** გომბორი (ტფილისის მაზრა): ამ თვის 18-ს სოფელ გომბორის ერთის ვერსის სიშორეზედ, ბ-ნ მულინის მამულის ქვემოდ ღელეში, იპოვნეს გვამი გომბორის გზა-ტკეცილის მუშა ასკარ-ჰასან-ოღლისა. საბრალო ავაზკებს დაურჩვიათ და ვერცხლის საათი წაუღიათ. როგორც სჩანს, სხვაგან მოუკლავთ და ამ ადგილას ჩაუთრევიათ. გზის მუშებმა სთქვეს: ამ ოთხის დღის წინად გომბორზედ წამოვიდა და იმას შემდეგ აღარ დაბრუნებულაო. დამნაშავე ჯერ ვერ აღმოუჩენიათ, თუმცა სართიჭალის ბოქაულს საჩქაროდ აცნობა ადგილობრივმა მამასახლისმა ეს ამბავი ოქმის შესადგენად.

*** „Тер. Вѣд.“-ი სწერს, რომ მათნი იმპერატორებითნი უმაღლესობანი, დიდნი მთავარნი სერგეი და ალექსანდრე მიხეილის ძენი 14 ოქტომბერს ბორჯომიდგან კავკავს მიბრძანდნენ და იქიდგან ერთ საათს შემდეგ საგანგებო მატარებლით პეტერბურგს გაემგზავრნენო.

*** „Тиф. Лис.“-ის სიტყვით, სიღნაღის მაზრის სოფელ მაღაროში ჩუდყვავილით ორი ბავშვი გამხდარა ავად და გარდაცვლილა.

**შეცდომის გასწორება**: გუშინდელს მეთაურში შეცდომით სწერია: მე-XIX საუკუნეში ბოსნია და ჰერცოგოვინა ხორვატიას ეკუთვნოდა. **უნდა იყოს**: მე-XI საუკუნიდგან ბოსნია და ჰერცოგოვინა ხორვატიას ეკუთვნოდა...

## მთავრობის განკარგულებანი

ტფილისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მესამე ხარისხის მოხელედ დანიშნულ იქმნა სოლომონ ბესარიონის ძე მდინარაძე.

## რუსული თეატრი

„Горькая Судьбина“, დრამა 4 მოქ. პისემსკისა.

რაღა ეს დრამა პისემსკისა და რაღა «Власть Тьмы», ლ. ტოლსტოისა. თუმცა ერთი ეხლაა დაწერილი, ხოლო მეორე—ორმოცის წლის წინად, მაინც ბევრი რამ არის მათ შორის საერთო. იგივე რეალიზმი და ზედმიწევნილი დასურათება რუსეთის გლეხ-კაცობის შავ-უკუღმა ცხოვრებისა, იგივე დანაშაული ჯერ და სრული შენანება მერე, იგივე ноготокъ увязъ—всей птичкѣ пропасть, იგივე საშინელება ძუძუთა ყმაწვილის მოკვლისა და სხვ.

„Горькая Судьбина“, ჩვენის აზრით, ისე სამძიმო მოსასმენი და საყურებელი არ არის, როგორც „Власть Тьмы“ უნდა იყოს, თუმცა სტრეპეტოვის ქალი საკვირველის რეალიზმით თამაშობს და სულ გავიწყებთ, რომ სცენაზედ მართლა სვეუბედური ლიზავეტა არ იტანჯება. არტისტის ქალის მიხვრა-მოხვრა, ხმის ამოღება, კვნესა-გმინვა, ქვითინი,—ყოველივე გარემოების შესაფერია, ნამდვილად ბუნებრივია და არა მოჩვენებული, განგებ დასწავლული, მოხერხებული.

დრამის ნასკვი ის არის, რომ პეტერბურგში ვაჭრად მყოფის გლეხკაცის ცოლს ლიზავეტას შეუყვარდება სოფლის მებატონე, 40-იან წელთა იდეალისტი, მიმდევარი იმ მოძღვრებისა, რომელიც ამბობს, თანასწორნი ვართ ყველანი და წმინდა გრძნობა სიყვარულისა თავისუფალი უნდა იყოსო. სიყვარულს თვისი ნაყოფი მოსდევს. ბრუნდება ამ დროს ქმარი, იგებს ყველაფერს და იწყება დრამაც. ახალგაზდა გლეხ-კაცი ვერ იტანს ასეთს გაბიაბრუებას, იტანჯება თითონაც და სტანჯავს ცოლსაც, რომლისთვისაც ჯოჯოხეთია თავისის ქმრის ცქერა, მასთან ერთ ჭერ-ქვეშ ყოფნა თავის უკანონოდ შეძენილის ბავშვით. ერთი გარემოება მეორეს ერთვის და იქამდე მიდის საქმე, რომ მებატონე ნებას არ აძლევს ქმარს, გაეცალოს სოფელს და თან წაიყვანოს პეტერბურგს თავისი მოღალატე ცოლი: იქ სიცოცხლეს მოუშხამავს, თავ-ბედს აწყევლინებსო; ხოლო მე ამას ვერ მოვითმენ, რადგან ეგ ქალი, სიყვარულიც იქით იყოს, დედაა ჩემის შვილისაო.

ასე გაწბილებული, შერცხვენილ-შეგინებული ქმარი სრულიად ჰკარგავს მოთმინებას მაშინ უფრო, როცა, ბატონის ბრძანების გამო, ეუბნებიან, შენს სახლშიაც ვერ ვამყოფებთ შენს ცოლს, ავად ეკიდებიო. საშინელს ყოფაშია ქმარი, როცა ჰხედავს, რომ მისი ცოლიც მზაა განშორდეს ქმრის სახლს. გონება დაკარგული, გიჟივით შევარდება იმ ოთახში, საცა ყაწვილია, დაანარცხებს იმ საცოდავს მიწაზედ და სულს გააყრევინებს.

როგორც ჰხედავთ, სცენები ისეთია, რომ ნიჭიერ არტისტ-ქალს ადვილად შეუძლიან თავი იჩინოს. სტრეპეტოვის ქალმა სწორედ იჩინა კიდეც თავი.

ყოვლად ძნელი, თითქმის უსიტყვებო, მარტო სახის მოძრაობითა და მეტყველებით სათამაშო სცენები პირველ მოქმედებისა ზედმიწევნილის სინამდვილითა და რეალიზმით ითამაშა და გაგვითვალისწინა მღელვარება, სულის კვეთება იმ სოფლელის ადამიანისა, რომელსაც არცხვენიან დიდის დანაშაულობისათვის. უფრო ძლიერი, ტრაგიზმით სავსე ადგილები ხომ უფრო უნაკლულოდ შეასრულა. შესანიშნავი იყო ბოლო სცენა მესამე მოქმედებისა, როცა შვილს მოუკლენ, და ბოლო სცენავე მეოთხე მოქმედებისა, როცა შებორკილებული, ლიზავეტას ქმარი თვით ტვირთულობს ყოველსავე ბრალს, არავის არ ამხელს, არავის არას აბრალებს, ამბობს, მძიმე სასჯელი დამადეთო, და შენდობას სთხოვს ყველას, ასე გასინჯეთ, თვით ცოლსაც-კი. ამ დროს ჩაუვარდება ფეხ-ქვეშ და ზედ შემოეჭიდება ლიზავეტა თავისს ქმარს, ის ლიზავეტა, რომელსაც შვილის სიკვდილის შემდეგ აღარც ჯანი აქვს, თითქმის აღარც ჭკუა და განუწყვეტლივ ჰკვნესის განწირულებით, ჩაუვარდება ფეხ-ქვეშ და ისე შეჰგმინავს, რომ ადამიანს გული უკვდება და უჩუყდება სატირლად ასე მწარედ დატანჯულთათვის.

## რუსული ოპერეტი

„Цыганскій Баронъ“, 3 მოქმედებიანი ოპერეტი, მუსიკა სტრაუსისა.

ახლად მოწვეულ მომღერალ ივანოვის ქალის სადებიუტოდ საოპერეტო დასმა ხელ-მეორედ წარმოადგინა, 20 ოქტომბერს, „Цыганскій Баронъ“-ი. ჩვენის აზრით, ბოშა ქალის როლი ქ-ნ ივანოვისათვის სწორედ ზედ-გამოჭრილია. მართალია, პირველს მოქმედებაში თითქოს დაღლილობა ეტყობოდა, არც ხმა გვეჩვენა აგრე ძლიერი, როგორც გაზეთები ამბობდნენ წინადვე, მაგრამ მეორე და მესამე მოქმედებაში ეს ნაკლულევანება სრულიად გაჰქრა და საზოგადოების ყურადღება სრულიად მიიპყრო გატაცებულმა და ვნება-ჟინით სავსე თამაშობამ. ისე მოძრაობდა და იმისი თვალები, თითქოს ცეცხლს აფრქვევსო. რაც საუკეთესო სათქმელი იყო, საზოგადოებამ ყოველივე განამეორებინა ქ-ნ ივანოვისას. მას მხარს უმშვენებდა ბ-ნი ლიანოვი თვით ბოშების ბარონის როლში. მღერაცა და თამაშობაც თითქმის უნაკლულო ჰქონდა ამ საღამოს ბ-ნს ლიანოვს და საზოგადოებამაც უხვად დააჯილდოვა ტაშის-კვრით როგორც ბ-ნი ლიანოვი, აგრეთვე ქ-ნი ივანოვისა. ეს ორი არტისტი და ქ-ნი ბოენსი თავიანთ ჭკვიანურის თამაშობით და ტკბილის ხმით დასს დიდად ამშვენებენ. საუცხოო იყო აგრეთვე ბ-ნი ბელიაევი „ღორების თავადის“ როლში. სახის მეტყველება და მოძრაობა ისეთი სასიამოვნო ჰქონდა, რომ სიცილით დაჰხოცა საზოგადოება.

ხორო გაცილებით უკეთ მღეროდა, ვიდრე ბოკაჩიოში; სათქმელები არ აურევიათ და მომზადება ეტყობოდათ.

არ შეგვიძლიან, დასასრულ, არ მოვიხსენიოთ ხელოვანი დირიჟორი ბ-ნი აპრელსკი და მისი მშვენივრად გაწვრთნილი ორკესტრი. აკომპანიმენტი ორკესტრისა სწორედ კარგია. თვით სუსტს მღერასაც შნოს აძლევს ორკესტრი და კარგს ხომ, რაღა თქმა უნდა, დიდად ამშვენებს და ალაზათიანებს.

## დაბა მანგლისი

(მოწერილი ამბავი)

**მანგლისი**, 1 ოქტომბერი. დაბა მანგლისი ისეთს ადგილასა მდებარეობს, რომ თითქმის ვერ ასცდება მასზედ გავლა-გამოვლა ურიცხვს ცხვარს, რომელსაც თუშები, ფშავლები, ქიზიყელები და სხვანი მრავალნი ზაფხულობით თრიალეთისკენ მიერეკებიან საძოვრად. როგორც გაზაფხულობით, ცხვრის მთებში გარეკის დროს, აგრეთვე შემოდგომობით, როდესაც ცხვარი უკანა ბრუნდება, მანგლისელი „პოსელიანელები“ გზაზედ უხვდებიან და ცხვრის გატარებაში ჯარიმას ახდევინებენ. ჯარიმად ფარაზედ ხუთ-ექვს ცხვარს ართმევენ და მეტსაც. ზოგიერთნი მწყემსნი უკანონოდ სთვლიან რუსების ამ ნაირს საქციელს და ცხვარს არ ანებებენ. ამაზედ ხშირად მოსდით ჩხუბი და ერთმანეთის თავ-პირის მტვრევა. ამ ნაირს ჩხუბს ხშირად კაცის კვლაც მოჰყვება ხოლმე.

მანგლისელები ვერც თავიანთ მომიჯნავე სოფლელებს ურიგდებიან. თუ როგორმე მოხდა, რომ რომელისამე სოფლის საქონელი გადავიდა მანგლისის საზღვრებში, მანგლისელები, საქონლის დამწყვდევისა და კანონიერ გარდახდევინების მაგიერ, შეიკრიფებიან ერთად შეიარაღებულები, მიდიან და შეერთებულის ძალით შეუბრალებლადა სცემენ და თავ-პირს ამტვრევენ საქონლის პატრონებს. თუ ვინმემ წინააღმდეგობა გაუწია, კიდეც მოჰკლავენ.

ერთი ამისთანა კაცის კვლა მოხდა პირველ ოქტომბერს. აი საქმე დაწვრილებით როგორ იყო: ბოტისელ ფშავლებს ჰყოლოდათ ცხვარი რუსების სამზღვრების მახლობლად. ცხვარი რუსების ადგილებში გადაჰსვლოდათ. რამდენიმე რუსი აქვე ახლოს ყოფილიყო, დაენახათ თუ არა თავიანთ ადგილში ცხვარი, მაშინვე კაცი გაეგზავნათ სოფელში (პროტიგაილოვკაში) სხვა რუსების დასაძახებლად. მინამ სოფლიდამ ხალხი მოეშველებოდათ, სანამ იქვე ახლოს მყოფი რამდენიმე რუსი კიდევ მიჰმატებოდათ. ესენი მისცვივნოდნენ ბოტისელ ფშავლებს, ცამეტამდის ცხვარი წაერთმიათ და შინ წაესხათ.

---

წლისა გახდა. მელანიას ნეტარებას საზღვარი აღარ ჰქონდა, თუმცა იმასაც-კი ჰფიქრობდა, რა მეშველება, როცა დათა აღარ მეყოლებაო. მელანიამ იცოდა, რომ უდათაოდ ერთს წელიწადსაც ვერ გასძლებდა და სწუხდა, თუმცა შვილისთვის ერთხელაც არ შეუმჩნევინებია თავისი მწუხარება. დათას პატარაობიდგანვე ჰქონდა ჩაგონებული, რომ სწავლა კარგიაო, და მოუთმენლად ელოდა იმ დროს, როცა სასწავლებელში წაიყვანდნენ. ეს დროც მალე დადგა. ენით არ გამოითქმება, რა ცეცხლი უტრიალებდა მელანიას გულში, როცა დათას წასვლის დღე დადგა, თუმცა სახე-კი უცინოდა. მხოლოდ მაშინ ველარ შეიმაგრა თავი და გადმოჰყარა ცრემლები, როცა დათა უკანასკნელად შემოეხვია კისერზედ და ტირილით ჩაეკრა ძუძუებში.

— რა გატირებს, დედაკაცო? დაიძახა მაშინ ზურაბმა, მოჰკიდა დათას ხელი და შესვა ცხენზედ. თვალთცრემლიანმა მელანიამ გაულო მამაშვილს ჭიშკარი და დაიწყო თავისუფლად ტირილი, როცა ისინი მიეფარნენ. ამას შემდეგ თავის უკანასკნელ საათამდის სულ სტიროდა საბრალო მელანია.

დათამ სასწავლებელში შესვლისათანავე გამოიჩინა ნიჭი და მასწავლებლებს მაშინვე შეუყვარდათ წყნარი, ბეჯითი დათა. პირველად აწუხებდა დათას დედის მოშორება, მაგრამ მერე ისე გაართო წიგნების კითხვამ, მასწავლებლების ყურის გდებამ, ამხანაგებთან თამაშობამ, რომ არც-კი შეუტყვია, როგორ გაირბინა ოთხმა თთვემ, როცა საშობაო დ დაითხოვეს ორის კვირით სახლში.

ვერ წარმოიდგენთ დათას მხიარულებას, როცა შობის წინა დღეს ერთი თავისი მეზობელი გლეხი ჰნახა, რომელსაც მისთვის ცხენი მოეყვანა შინ წასაყვანად.

— მამა შინ არ იყო და მელანიამ მე გამომგზავნა შენთანაო, უთხრა სოფლელმა კაცმა დათას. დათა მაშინვე დაეთხოვა პანსიონიდგან და გაჰყვა მეზობელს. გზაზედ დათა ტკბილს ფიქრებში იყო გართული და სულ იმას ოცნებობდა, როგორ მოუყვება დედას, რაც ისწავლა ამ ოთხს თთვეში. დათას სწავლის მოწმობა ჯიბეში ჰქონდა და დარწმუნებული იყო, რომ იმის დედის ნეტარებას საზღვარი აღარ ექნებოდა, როცა ყველა საგნებში სულ 5-ებს ჰნახავდა.

აი მიაწიეს მგზავრებმა სოფელს. დათას უფრო და უფრო უცემს გული. აი ჰხედავს დათა თავის ნაცნობ ადგილებს, სადაც ხშირად უთამაშნია და უხარნია. აი მოჰკრა თვალი იმ ნიგვზის წვერს, რომელიც იმათ ეზოშია, და მერცხალივით აჭყლოპინდა. აი თავისს სახლის ბუხარიც გაარჩია, მერე სახურავი, მერე ჭიშკარი. „ღმერთო ჩემო, ეს რაა, რომ დედა არ მეგებება?“ გაიფიქრა დათამ და მხოლოდ ეხლა ჰკითხა თავის თანამგზავრს, დედა როგორ არი-ო?

— ცოტა შეუძლოდ იყო, მიუგო მგზავრმა: მაგრამ შენი ნახვა ისე გაახარებს, რომ მოარჩენს.

ამის გაგონებაზედ უცებ დანაღვლიანდა დათა. მერე ხმაც არ ამოუღია, არსაით არ მიუხედავს და თავჩაღუნული უახლოვდებოდა სახლს.

აი მივიდნენ ჭიშკართან, ვიღაცამ კარი გააღო და შევიდნენ ეზოში. სახლის აივანზედ მთელი გროვა იყო ხალხისა, ნამეტურ ქალები იყვნენ ბევრნი. აი ჩამოსვეს დათა ცხენიდგან; ქალები და კაცები შემოეხვივნენ გარს და დაუწყეს ალერსი.

— რამხელა გაზდილა, გენაცვალეთ! რა ბიჭია!

— რა კარგად არის... ესმოდა დათას აქეთ-იქიდამ, მაგრამ არავის არ აქცევდა ყურადღებას, ისე გაეტაცნა დედის ნახვის სურვილს.

— მოვიდა?.. წაიყვანეთ, წაიყვანეთ მალე დედასთან, ერთხელ მაინც შეჰხედოს! დაიძახა ამ დროს მღვდელმა, რომელიც სახლიდგან გამოვიდა. დათა გაფითრდა და მიაშურა სახლს. რამდენიმე ქალი და კაცი გაჰყვა უკან და ყველანი შევიდნენ იმ ოთახში, სადაც სულთმობრძავი მელანია იწვა. მელანია გაცივებულიყო, ჯავრსა და სენს თავისი ექნა და ეხლა უკანასკნელს მდგომარეობაში იყო.

— შვილო!..

— დედა!.. შესძახეს იმათ ერთმანეთს. მელანიამ წამოწევა დააპირა, მაგრამ ველარ შესძლო, დათა-კი მივარდა დედას და ჩაეკრა გულში.

რამდენსამე ხანს ასე იყვნენ ჩაკრული დედა-შვილი, მერე მივიდა ვიღაც და გულ-ამომჯდარი დათა გარედ გამოიყვანა.

ამას შემდეგ აღარ შეუშვიათ დათა დედის ოთახში. ნამეტანი აღელვება ველარ აიტანა მელანიას ისედაც მისუსტებულმა გულმა და რამდენსამე საათს შემდეგ სული დალია. ამ ნაირად დაობლდა დათა, მოუკვდა თავისი საყვარელი დედა და თვალებზედ ცრემლი აღარ შეშრობია იმ ხნის განმავლობაში, სანამ მელანია არ დაასაფლავეს და დათა ისევ ქუთაისში არ წაიყვანეს.

დუტუ მეგრელი

(შემდეგი იქნება)

პროტიგალოვკიდგან (მანგლისის ნაწილია) თითქმის კომლზედ კაცი გამოსულიყო შეიარაღებული—თავიანთ მეზობლების მისაშველებლად. ამათ წინ შეჰხვდათ თავიანთი მოძმენი, რომელთაც უკვე წაერთმიათ ცხვრები. წართმეული ცხვრები თვალში სცოტავებოდათ და დასდევნებოდნენ უკან ბოტტისელებს, რომელთაც კიდეც მიეფარებინათ ცხვარი. გაცხარებულ რუსებს დაენახათ თავიანთ საზღვრების მახლობლად თონეთელი მწყემსები, რომელთაც ცხვარი ეძოვებინათ მებატონეთაგან იჯარით აღებულს მამულში. თონეთლები ბოტისელები ჰგონებიათ და გამოსდგომიან. შეიარაღებულ რუსების დანახვაზედ უიარალო თონეთლებს ძრიელ შეჰშინებიათ და გაქცეულან. რუსები დასდევნებიან და თან დაუძახნიათ: „დადექით, არაფერს გერჩითო“. გიორგი გოგიჩაშვილი დამდგარა. რუსები მიახლოვებულან და ურას ძახილით თოფები დაუცლიათ. გოგიჩაშვილს, როგორც ამბობენ, ორი თოფი მოჰხვედრია და იქვე დაცემულა. თოფით დაჰრა არ უკმარებიათ მისთვის და წიხლითა და კეტებითაც უცემიათ. ერთის მეცხვარისთვის კიდევ ჩოხის კალთა სულ ერთიანად დაუფაცხავებიათ, თუმცა-კი ხორცად ვერ მოუხვედრებიათ. გოგიჩაშვილი-კი, როგორც ვსთქვი, პირქვე დაცემულიყო. რუსებს ჯერ დაჭრილი არა ჰგონებოდათ და როცა გადმოებრუნებინათ და სისხლის მორევი დაენახათ, შეჰშინებოდათ და უკან გაქცეულიყვნენ. თან გაერეკათ, რაც მინდორში თავიანთი საქონელი ჰყოლოდათ. გოგიჩაშვილი დიდ-თონეთში დაჭრილი ჩამოიყვანეს და მეოთხე დღეს გარდაიცვალა. მოკლული გოგიჩაშვილი მეტად მოხდენილი, 20 თუ 21 წლის ვაჟკაცი იყო.

კარგი იქნება, ამ ბოროტ-მოქმედებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, ვისიც ჯერ არს, რომ კვლავ აღარ განმეორდეს ამისთანა შემთხვევა.

აგრეთვე კარგი იქნება სრულებით აუკრძალონ მანგლისელების მამულზედ ცხვრის გატარებაში გარდასახადის გამორთმევა, თუ კი ეს მათი საქციელი უკანონოა, თუ არა-და, კანონიერი გარდასახადი დაუწესონ, რომ მოგზაური მწყემსები შარსა და ხათაბალაში აღარ გააბან.

ლ. მ.

## წვრილი ამბავი

პრაგაში (ბოჰემიაში) შემდგარა კომიტეტი, რომელსაც განზრახვა აქვს მეგლი აუგოს გუსსიტების ცნობილს წინამძღოლს ივანე ჟიშკას. ჩეხია, რომლის ნაწილსაც ბოჰემია შეადგენს, თავდაპირველად თავისუფალი სახელმწიფო იყო, სანამ ავსტრიამ არ შეიერთა, როცა უშეოდ გარდაიცვალა უკანასკნელი კოროლი ჩეხიისა. მემკვიდრეობა მისი ნათესაობით ერგო ავსტრიის იმპერატორს. ჩეხები, როგორც ახლა წინადაც არ იყვნენ ავსტრიელების ბატონობით კმაყოფილნი. აუარებელი რიცხვი ავსტრიელ-გერმანელთა მოზღვავდა ჩეხიის ქალაქებში და მათ შორის, ნამეტნავად ჩეხიის სატახტო ქალაქ პრაგას, სხვა-და-სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში, აგრეთვე უმაღლესსა და საშუალო სკოლებში თითონ დაიჭირეს ადგილები და მკვიდრ ჩეხებსკი უარს ეუბნებოდნენ და არსად გზასა და ადგილს არ აძლევდნენ. თავიანთ სამშობლო ქვეყანაში ბინა არა ჰქონდათ ჩეხებს და უსაქმოდ დაიარებოდნენ. გარედგან მოსულებმა ყოველგან გაბატონეს თავიანთი ენა: საზოგადოების სკოლას, სხვა-და-სხვა დაწესებულებასა და თვით ეკკლესიაშიაც-კი მოინდომეს უცხო, ჩეხებისათვის გაუგებარ გერმანულ ენის გაბატონება და ფარფაში. აი ამ დროს, ესე იგი მეთხუთმეტე საუკუნეს, ისე გაძლიერდა და გამწვავდა ჩეხებს უკმაყოფილება თავიანთ ბატონების მიმართ, რომ გამოიწვია სარწმუნოების სახელით დიდი პოლიტიკური ბრძოლა, ბრძოლა არსებობისათვის, თავისუფლებისათვის. ამ საეროვნო ბრძოლის სულის ჩამდგმელად და გულოვან სარდლად გამოვიდა შუშის-მჭრელის შვილი ივანე გუსი, რომელმაც თავისის სამაგალითო ენერგიის წყალობით უმაღლესი განათლება მიიღო პრაგის უნივერსიტეტში, სადაც ბოლოს რექტორადაც დანიშნეს. ივანე გუსმა პირველმა დაიწყო ავსტრიალების წინააღმდეგ ქადაგება ეკკლესიის კათედრიდგან: იმის ქადაგებას აურებელი მსმენელი ესწრობოდა. ის ჰქადაგობდა პირველად ჩეხების მართლ-მადიდებელ ეკკლესიის შეუხებლობის შესახებ კათოლიკეთა პაპის მაერ და უარ-ჰყოფდა ავსტრიელებისბატონობასჩეხიაში; ჰგლოვობდა სამშობლო ენის დაკარგვას და უცხო ენის შემოღებას!

ყველა ამ აშკარა გალაშქრებით რომის პაპისა და ავსტრიელების წინააღმდეგ გუსმა გადაიმტერა ერთიც და მეორენიც. დაიბარეს კონსტანცში განსამართლებლად, სადაც კათოლიკეთა მღვდელ-მთავართა და ავსტრიელთა მოხერხებით ცეცხლში დასწვეს. გუსის დაწვამ გამოიწვია ეროვნული ბრძოლა ჩეხებში ავსტრიელებისა და რომის პაპის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას დაერქვა ისტორიაში გუსის სახელი: „ბრძოლა გუსსიტებისა“. გუსსიტების ერთი გასაოცარი სარდალთაგანი იყო ივანე ჟიშკა, რომელმაც აუარებელი ჯარი ავსტრიელებისა, რომის პაპის კურთხევით გამოგზავნილი, არა ერთხელ გაირეკა ცხვრებივით და სხვა-და-სხვა ხევში ამოჰხოცა, თუმცა ბოლოს ეს ბრძოლა, ჟიშკას შემდეგ, ჩეხებისთვის სასარგებლოდ არ გათავდა.

აი ამ ივანე ჟიშკას უდგამენ ძეგლს ახლა ჩეხები. ღირსიცაა და დროცაა, ჩეხების საეროვნო დასმა წარსულთა დროთა დიდებულ კაცთა გახსენებით და მათიდა საგმირო საქმეთა გათვალისწინებით დღევანდელ გამწვავებულს ყოფას თავის სამშობლოსას ბოლო მოუღოს და ახალ, უკეთესის მერმისის გზაზედ დააყენოს.

— ქ. ფირმინში (საფრანგეთში) წარმოდგენის დროს თეატრი ჩამოინგრა, რამდენიმე კაცი მოკვდა და ძლიერ ბევრი დაშავდა.

— ინგლისის გაზეთები იუწყებიან, რომ იაპონიის იმპერატორს განზრახვა აქვს მომავალ ზაფხულს ევროპაში იმოგზაუროს.

## წერილი რედაქციის მიმართ *)

(პოეტის ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების გამო).

რადგან ნ. ბარათაშვილის საფლავის საქმე მეტრთ ისე გამოარკვიეს, ვითომ ბარათაშვილის საფლავი სრულად დაკარგული იყოს, აღარავითარი ნიშანი და კვალი აღარა სჩანდესო, ამიტომ მე მინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ ამის შესახებ, ვითარცა ადგილობრივის ეკკლესიის მღვდელ-დეკანოზმა. გარეგნად, მართლაც, ძნელი საცნობელია, სად არის განსვენებული დასაფლავებული, რადგან ქვა აღარ ადევს ზედ, მაგრამ მაინც-კი დაჯეშმარიტებით შეიძლება იმ ადგილის აღნიშვნა და აი რა მიზეზით: მე განჯის ალექსანდრე ნეველის ტაძრის მღვდლად დამნიშნეს 1867—1868 წლებში. გზად გამოიარა დამ განსვენებულ ნ. ბარათაშვილისამ, დამოყნის მოხელეს ბარათაშვილისავე მეუღლემ, და მთხოვა, პანაშვიდი გადამეხადნა, მისის ძმის სულის მოსახსენებლად. მე არ ვიცოდი, სად იყო განსვენებული დასაფლავებული, და მისმა დამ მაჩვენა ეს ადგილი. ამასთან მითხრა, რომ განსვენებულის საფლავის ქვის შუა-გული მარმარილო წარწერიანთურთ ეკკლესიაშია შენახული და ქვა-კი დაიმტვრა, წვიმა-ნიაღვრისაგან გაუქმდაო. მე იმის ჩვენებისამებრ გადავიხადე პანაშვიდი. ის ქვა მართლაც ეკკლესიაშია და ეხლაც მაქვს შენახული. ასლი მისის ზედ წარწერისა გამოვუგზავნე კიდეც გენერალს კონსტანტინე მამაცაშვილს და გიორგი სპირიდონის ძეს განზიელს, განჯის მაზრის უფროსად ნამყოფს. ამიტომ მართალი არ არის ის ცნობა, ვითომ განსვენებულის ნ. ბარათაშვილის სამარე დაკარგული იყოს და აღარავინ იცოდეს მისი ადგილი.

დეკანოზი მიხეილ მძინარაშვილი

1892 წ. 21 ოქტომბერი

## დეპეშა

20 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** „Новое Время“ იუწყება, რომ პურის ახალ ტარიფის პროექტის შედგენის საქმე იმ ანგარიშით სწარმოებს, რომ ეს ტარიფები გამოცხადდეს 1893 წლის 1 ივნისამდე და 1 სექტემბრიდგან შემოღებულ იქმნასო.

„Петерб. Вѣд.“-ს გაუგონია, რომ სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა პროექტი სესხის გაცემისა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების სასყიდლად რუსეთის მეფაბრიკეების მიერ მომზადებულისა რუსეთისავე მასალისაგან. სესხის აღების უფლება მხოლოდ იმას მიეცემა, ვინც ამისათვის მთავრობის განსაკუთრებულ დაწესებულების მიერ მოწონებულ მაშინების შეძენას განიზრახავს.

„Русская Жизнь“-ი სწერს, რომ სამეფო სასახლის სამინისტრომ საბოლოოდ გადასწყვიტა რუსული თეატრები გაჰმართოს რეველსა, რიგასი, დერპტსა, მიტავასა და სხვა დიდრონ განაპირა ქალაქებში, სადაც კარგად ვერ არის განვითარებული სახელმწიფო ენა და საეროვნო აზრიო.

**პარიჟი.** კარმოს გაფიცულნი შეიკრიბნენ და ერთ-ხმად გადასწყვიტეს, მუშაობას ისევე ხელი მიჰყონ.

პოლკოვნიკმა დოდსმა იერიში მიიტანა მდ. კოტასთან მყოფს სიმაგრეებზედ, გადავიდა ამ მდინარეზედ და ორი სიმაგრე აიღო. ორჯელ დაამარცხა დაგომეის მთელი ჯარი და კანადგან ერთს კილომეტრზედ სდია. $^{17}/_{29}$ ოქტომბერს დოდსს კანა უნდა აეღო, ხოლო $^{18}/_{30}$-ს—აბომეი.

**შტუტგარტი.** დედოფლის ოლგა ნიკოლოზის გვამს ხუთშაბათს დაასვენებენ სამეფო კოშკის მარმარილოს დარბაზში, ხოლო პარასკევს, დილის 11 საათზედ, დიდის ამბით დაასაფლავებენ ძველის ციხის სამლოცველოში. გაზეთები განსვენებულს მადლობით იხსენიებენ, რადგან დიდი ქველ-მოქმედი იყოო.

21 ოქტომბერი

**ბუდა-პეშტი.** დღეს ხმა გავრცელდა მინისტრ-პრეზიდენტი საპარი წინაღამ მოჰკლესო. მინისტრი გუშინ დაბრუნდა ვენიდგან; როცა მატარებელი ბუდა-პეშტს უახლოვდებოდა, გაისმა თოფის ხმა და ტყვია შევარდა სასადილო ვაგონში, საცა გრაფი საპარი იმ დროს სადილს მიირთმევდა. დაშავებულა თუ არა მინისტრ-პრეზიდენტი, ჯერ არ იციან.

პეტერბურგის ბირჟა, 20 ოქტომ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაურიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8,10 | 8,14 | — ,, |
| ტრამოყნის კუპონები . | 162 | 163½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 236 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 215 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 191½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | 102¼ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102¼ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98,12 | — ,, | — ,, |

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ


კბილის ექიმი

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—126)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1892—93 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 1 ოქტომბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 15 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, ათთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—80—22)

**ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲞᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ**

ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა

ქ. ტ ფ ი ლ ი ს შ ი

აცხადებს, რომ აკეთებს საუკეთესო ღირსების **საპონს** სარეცხისათვის: ნუშის ფერისასა და მარმარილოს საპონს ლაჟვარდის ფერისას.

წვრილ-წვრილად იყიდება თითო და ხუთ-ხუთ გირვანქიან კალაპოტებად კავკასიის ამხანაგობის სააფთიაქო ნივთების სავაჭრო მაღაზიაში და საკუთარს სავაჭრო ადგილებში: ა) იარმუკა, სახლი ბუღდანოვისა; ბ) ოლგას ქუჩა, სახლი მებურნუთოვისა; გ) თათრის მოედანი, ქალაქის ფარდული და დ) ავლაბრის მოედანი, ქალაქისავე ფარდული. (5—1)


*) ეს არის რედაქციაში ბრძანდებოდა განჯის წმ. ალექსანდრე ნეველის მღვდელ-დეკანოზი მ. მიხეილ მძინარაშვილი, რომელიც ტფილისში ყოფილიყო და დღეს განჯას გაემგზავრა. მ. დეკანოზმა ეს წერილი დაგვიტოვა და გვითხრა, მე თავად ვნახავ განსვენებულის ნ. ბარათაშვილის ნათესავს, თ. ნ. რ. ერისთავს, და ყოველსავე დაწვრილებით ვაცნობებო. რედაქც.

Дозв. ценз. Тифлисъ, 21-го Октября 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.